№ 91
პარასკევი, 1 მაისი, 1898 წ.

1877—1898

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 91
პარასკევი, 1 მაისი, 1898 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲘᲡ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამაერც. საზოგადოების კანცელარიას
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამსნანაგობამ ძოსაჩერებლად ს�o დაიაიფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

თ. ი. გ. ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ,

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 25 მაისამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ანახანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამსნანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ბეჭაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲩᲣ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲗᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ: Тифлисъ. Грузинское издательское Товарищество. (50—5.—27)

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ

დანიშნულია 13 მაისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველი იქნება შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1897 წელს.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიურის ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1898 წლისთვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახლის წევრებისა.

5, არჩევანი საზოგადოების თავჯდომარის და გამგეობის წევრთა.

(3—უ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(უკაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობითი:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲜᲐᲬᲣᲒᲔᲢᲘ

—

რად გიყვარს, კაცო ბორბოტო,
შენ შენის მომძის ზიანი,
მის სიმწარ-სიტკბოებაში
რად არ ხარ თანაზიარი.
ის არ სჯობია, ტანჯვისგან
დაიხსნა ოხერ-ტიალი
და ბორბოტების მაგივრად,
საქმე ჰქმნა სახელიანი?!.

ხელოსანი

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ᲯᲔᲯᲘᲚᲘ“ № III, 1898 წ.

ჟურნალ „ᲯᲔᲯᲘᲚᲘᲡ“ მარტის ნომერი შეიცავს იმდენს მასალას, რამდენსაც იანვრისა და თებერვლის ნომრები სათითაოდ. ამ ნომერში პირველი ადგილი უჭირავს პატარა სამტაეპიან ლექსს—„მდინარე“-ს, რომლის აზრი ნასესხებია. ლექსი „მდინარე“ საზოგადოდ საშუალო ღირსებისაა, მაგრამ ჩვენ მაინც არ მოგვეწონა უკანასკნელი ტაეპის უკანასკნელი ორი სტრიქონი: „ეს კი ბეჭონს, მარბი ჩვენკენ შორს და ეგდარ ბეჭადთ თვალთ“, ერთი, რომ „მდინარის სირბილში“ საწყენი არა უნდა იყოს-რა და, მეორედ, ეს გრძნობა წყენისა, მდინარის სირბილის გამო, იშვიათად დაიბადება რომელისამე ბავშვის გულში, იმისდა მიუხედავად, რომ ბავშვებს საზოგადოდ, განსაკუთრებით ზაფხულობით, მდინარეებში თამაშობა ძალიან უყვართ ხოლმე.

მეორე ლექსია იგავ-არაკი „ძაღლი და ცხვრის ფარა“, რუსულიდგან გადმოკეთებული. შინაარსი იგავ-არაკისა ასეთია: მწყემსმა ერთი ძაღლი იპოვა მიგდებული, „გააძღო და გაახარა“. როცა ძაღლი მომძლავრდა, ცხვრის ფარა ჩაახარა. გავიდა დრო, მოკვდა მწყემსი. ძაღლი დაერია ცხვრებს და მუსრი გაავლო. ძაღლი ეუბნება ცხვრებს:

„თუ მოგმწყესეთ და ნადირსა
არ მიგეცეთ სახრავათ(დ)ო,
მაშ ნებაც მაქვს მოგიხმაროთ
საკლავად და საწვავათ(დ)ო“.—

ზნეობრივი სწავლა ხსენებულის იგავ-არაკისა ძალიან დახლართულია და ამიტომ პატარა მკითხველები ბევრს ვერაფერს ვერ გამოიტანენ ამ იგავ-არაკისაგან, რომლის აზრი ასე გამოიხატება — „კარგისთვის კარგი ვის უქნია, მოუპირე გველოვო“.

მოთხრობათა შორის „ᲯᲔᲯᲘᲚᲘᲡ“ ამ ნომერში პირველი ადგილი უჭირავს „გაზაფხულს“, რომელიც შეიცავს ზამთრის აწერილობას და გაზაფხულის დადგომას. ამ აწერილობას, ამბად მოთხრობილს, ბევრი ღირსება აქვს, რომელთა შორის უნდა აღვნიშნოთ ხელოვნურად და ცოცხლად აწერა ზამთრის ბუნების ხვა-და-სხვა სურათისა, ზამთრის მიწურულება და გაზაფხულის დადგომა. ყველა სურათი, რომელიც აწერილი აქვს წერილის ავტორს, პატარა მკითხველებს ნანახი და გაგონილი აქვთ წარსულს ზამთარში, რომლის მოგონება, როცა ჯერ გაზაფხული სრულიად არ გამეფებულა, ბავშვის გონებაში ცოცხალია, მხოლოდ, ლექსიკონის სიღრმისა გამო, პატარა მკითხველს არ შეუძლიან გამოსთქვას, გამოჰხატოს ის სურათი ისე ხელოვნურად, როგორც უფროსებს შეუძლიან ხოლმე. აი, ამ სურათების ხელოვნურად და ცოცხლად აწერას სიამოვნებით წაიკითხავენ ბავშვები და აგვილადაც შეიგნებენ, რადგანაც ამისთვის საჭიროა ნიადაგი ყველა მკითხველის გონებაში მოიპოვება. „ზამთარი“ ეკუთვნის თ. რაზიკაშვილს, რომელიც ხშირად ისეთს სიტყვებსა ჰხმარობს, რომელიც ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხეში არ იხმარება. ენის სიმდიდრისათვის ეს ეუცილებლად საჭიროა, მაგრამ კითხვის დროსაც რომ ყველა ბავშვს გაუადვილდეს წაკითხული სრულიად შეგნება, საჭიროა ზოგიერთის სიტყვების განმარტება.

ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ
რეფლი—ხელთ-ნაწერი, სათაურით:
„ᲡᲐᲑᲐᲠᲐ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲘᲚᲘ“
ოსების ცხოვრებიდამ.
მპოვნელს ვთხოვთ მოიტანოს ვერაზე, „ბათუმის ნომრებში“, სადაც მიიღებს შესაფერს ჯილდოს.
(2—82—1) გ. სიუკაშვილი

ᲕᲐᲪᲐᲠᲘᲐᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲔᲑᲘ
ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲡ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ.
ᲭᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ.
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Тифлисъ. Грузинское издательское Товарищество. (50—5.—27)

ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲗ
ᲛᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲭᲓᲐᲓ
ᲛᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ

ალბომი, რომელშიაც მოთავსებულია ქალაქის პოლიციის ყველა მოხელის ფოტოგრაფიული სურათი. ალბომის ყდის ვერცხლის ფიცარზედ ოქროთია ამოჭრილი ღერბი თავ. გ. დ. შერვაშიძისა და ქვეშ უწერია: „თავადს გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძეს პოლიციის მოხელეთაგან“. ამ წარწერის ქვემოთ ამოჭრილია ვერცხლის საგუბერნიო ღერბი.

⁂ დედათა პირველ გიმნაზიის წლიურ აქტის დროს ამავე გიმნაზიის დირექტორმა წაიკითხა ანგარიში გიმნაზიის 33 წლის არსებობისა და მოქმედების შესახებ. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ გიმნაზიაში სწავლა დაუმთავრებია 1,167 მოსწავლეს. წარსულს წელს გიმნაზიაში უსწავლია 950 მოსწავლეს. ეროვნობით მოსწავლენი ყოფილან: რუსი 410, ქართველი — 140, სომეხი — 276, თათარი — 1, ებრაელი — 50 და დანარჩენი 54.

⁂ ყვავილთან ბრძოლის ხელის შესაწყობად საბუოს მკურნალებს დაევალათ დაიარონ ხოლმე სახლები და ყველაფერი გამოჰკითხონ მცხოვრებელებს ამ სენით ავადმყოფობის შესახებ. მკურნალთ უნდა შეადგინონ სია იმ ბავშვებისა, რომელნიც აკრილნი არ არიან ყვავილისაგან უზრუნველ-საყოფელად და შემდეგ აუცრიან ქალაქის საავადმყოფოში და ამ სახლში. ამ განკარგულებამ უკვე ჯეროვანი ნაყოფი გამოიღო. ოთხშაბათს, 29 აპრილს, მკურნალთ დაიარეს და აღმოაჩინეს, რომ მე-4 ნაწილში 8 კაცი ყოფილა ავად ყვავილით და მე-10 ნაწილშიაც 2.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს, რომ ქუთაისის საგუბერნიო მმართველობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ შავშეთ-იმერხევის ნაწილის გლეხთა, რომელნიც მიწის ზვავებისაგან დაზარლდნენ, უსარგებლო სესხი მიეცეთ ბათუმისა და ართვინის ოლქების ჯარიმის ფულით შემდგარ თანხიდგან და ფულით დახმარება აღმოეჩინოს მთავრობისაგან ამ ფულის უკან დაუბრუნებლივ.

⁂ ბათუმიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „ახ. მიმ.“, რომ რუსეთის სავაჭრო და სანავსნლო საზოგადოების გემის „ნიკოლოოზ“-ის დაკეტილ საკუუნავოდგან მოიპარეს მთლად ფულით სავსე ფოსტა ოდესიდგან ნოვოროსიისკს გაგზავნილი.

⁂ ს. ბზკანა, (ქუთაისის მაზრა). აქ სცხოვრობდა ერთი ძველის დროის აზნაური, — ნიკო გოგორაშვილი; როდესაც ნიკოს დაეხოცა ცოლ შვილი და უბატრონოდ დარჩა, მისმა ნათესავებმა ჩამოართვეს აღგილმამული და ყოველივე ქონება იმ პირობით, რომ ჩვენ მოგვიყვანთ და შეგინახავთო, მაგრამ შემდეგ ლუკმა-მჭადიც აღარ აჭამეს. საწყალმა ნიკომ მთხოვრობა დაიწყო და ისე ინახავდა თავს; ამას წინად საბრალო წასულიყო ბზვანიდგან ს. სურეში, სადაც ძლიერი ხატია, რომელსაც „ლომის კარებს“ უწოდებენ. ნიკოს უფიქრია, ხატს გადავცემ ჩემ დამჩაგვრელებსაო, როდესაც აუსრულებია სურვილი და დაბრუნებულა, საბრალო მოხუცი გზაზედ შეწუხდა თურმე და გარდაიცვალა.

⁂ სიღნაღის მაზრის სოფ. ნუკრიანის მცხოვრებელმა შალტუაშვილმა თხოვნა მიართვა თურმე ტფილისის გუბერნატორს, რომ ჩვენი 15 წლის შვილი ცუდი ყოფაქცევისაა და ზნე ხასიათის გასასწორებლად რამდენიმე ხანს სპპატიმროში დაეპატიმროთ.

⁂ ამ ქამდე უკვე ხელი მიჰყვეს მდ. დაბახანიდგან წყლის გაყვანის საქმეს ბოტანიკურ ბაღის ახლად შემოერთებულ მამულის მოსარწყვადა.

—

შეცდომის განმარტება: იმ ამბავში, რომელიც შეეხებოდა ჯერ დაუბეჭდელს რუსულს წიგნსა და რომელიც დაიბეჭდა № 89-ში, შეეგებარა ორი შეცდომა. დაბეჭდილი იყო: ასაკდენად მოშუამეული ჰაერისა, უნდა ყოფილიყო: ასატანად. დაბეჭდილია: შეუძლებელია და სასაკოლოც ხალხურს ენაზე გადათარგმნა საღმრთო წერილისა. უნდა ყოფილიყო: ხალხურს (მალოროსიულს) ენაზე...

შემოწირულება

გუშინ რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ“ გასამართ ბაზრობისათვის შემოწირულება გვქონდა გამოცხადებული, გამოგზავნილი იყო განჯიდგან. კიდევ შემოსწირეს იმავე ბაზრობისათვის სიღნაღიდგან:

ბარბარე სვამონ. ს.ს. სტრეჯნიცკისამ—ბავშვის კაბა, ხილის თეში მარკებით მორთული.

თავადის ასულმა ელენე ანდრონიკაშვილისამ—ბავშვის კაბა.

ბარბარე მაისურაზისამ—ბავშვის კაბა.

ვ. ტ. ბადაშვილმა—ბალიშის პირი, საათის ჩასადები და პორტფელი.

ანნა ჯაზხარაზისამ—ბალიშის პირი.

დარია ფეკლას ასულმა ეკატერინეფიდასამ—ერთი ფყვილი ნაკერი შანდლის დასადგომი.

მარიამ ბენრიხის ასულმა ბერტმანასამ—ცხვირსახოცის ჩასაწყობი ნაკერი.

ეკ. ნინა სვამონას ასულმა ანდრონიკაშვილისამ—ცხვირსახოცის ჩასაწყობი ფერ ატლასზედ ნაკერი.

თავ. ე. ანდრონიკაშვილმა—სურათის ჩარჩო.

თავ. ი. რ. კაჩნაძემ—სურათის ჩარჩო.

ე. ე. ბეგიშვილისამ—საყელო.

ეკ. დარია კაჩნაძისამ—მწვანე ხავერდის თავსაკრავი.

ეკ. ნატალია კაჩნაძისამ—შავ ხავერდზედ ნაკერი თავსაკრავი.

ს. ბადეშვილისამ—ორი ყვავილის აბაჟური.

ეკ. დარია ჯორჯაძისამ—პატარა კრუფეკვის წამოსასხამი.

ს. მ. გრიშენინასამ— ერთი მორთული პერანგი.

ეკ. ანნა ზაქარიას ასულმა ერასთავისამ—1 ფყვილი მანეტი, 2 პატარა მუთაქა ქინძასთავებისათვის და ერთი პატარა ყუთი.

წერილი ქუთაისიდგან.

21 აპრილს ბ-ნ სტ. ხოჯაევის თავმჯდომარეობით ადგილობრივის სამეურნეო საზოგადოების განყოფილების წევრთა კრება მოხდა. კრებას 17 წევრი და რამდენიმე გარეშე კაციც დაესწრო. თავმჯდომარემ მოახსენა, რომ კრებას ორი საგანი აქვს განსახილველად: სამეურნეო სკოლის უფროსის ამორჩევა და სკოლის მდგომარეობის ანგარიშის მოსმენა. სკოლის უფროსი ბ-ნი ბიბიკოვი ავადმყოფობისა და სხვა მიზეზებისა გამო სკოლას თავს ანებებსო, სთქვა თავმჯდომარემ. თუმცა ოფიციალური მოხსენება ამ საგნის შესახებ არ შემოუტანია, მაგრამ კერძოდ მე, როგორც სამეურნეო საზოგადოების განყოფილების ვიცეპრეზიდენტს, მისი წერილი მომივიდა, რომელშიაც იწერება: „მე სიამოვნებით თავს ვანებებ თქვენს სასწავლებელსაო“. ზოგმა ეჭვი გამოაცხადა, ვი თუ ხვალ მეორე კერძო წერილი მოგვიდეთ მისგან, რომ თავს აღარ ვანებებ უფროსობასს, მაშინ ხომ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება სამეურნეო საზოგადოების განყოფილებაო; საქიროა განყოფილებას ჰქონდეს ბ-ნ ბიბიკოვისაგან გამოგზავნილი ოფიციალური მოხსენება, რომ იგი თავს ანებებს სკოლის უფროსობას. მე სარშეშენო კაცისაგან გავიგეო, სთქვა თავმჯდომარემ, რომ ბიბიკოვისათვის ასხაბადში მიუციათ ადგილიო. შემდეგ კრებას წინადადება მისცა ბ-ნმა ხოჯაევმა სკოლის უფროსად ამოერჩიათ ამავე სკოლის მასწავლებელი ბ-ნი მკურნალი, რომელიც დროებით ასრულებდა უფროსის თანამდებობას. ხოჯაევის სიტყვით, ბ-ნი მკურნალი ფრიად ბეჯითი, გულმოდგინე, საქმის მცოდნე და მხნეობით სავსე კაციაო და ჩვენ უკეთესს ვერ ვიშოვითო. ბ-ნმა ჩიხლაძემ (ამავე სკოლის მასწავლებელია) სთქვა, რომ საზოგადოება არ უნდა აჩქარდეს სკოლის უფროსის არჩევაში; აჩქარებით შეიძლება შეცთომა მოუვიდეს და შემდეგ ამ შეცდომის გასწორება ძნელიაო; უმჯობესი იქნება გაზეთებით ან სხვა საშუალებით ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ სკოლაში ადგილი განთავისუფლდა, იმედია რამდენიმე კანდიდატი გამოჩნდება და ჩვენ საშუალება მოგვეცემა უმჯობესი ამოვირჩიოთო; შეიძლება უმაღლესს სამეურნეო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულიც გამოჩნდეს მსურველთა შორის და ნუ თუ ამის-თანა კაცს უპირატესობა არ უნდა მივცეთო? ბ-ნმა ხოჯაევმა ის უპასუხა, რომ ჩვენს სასწავლებელში უფროსად დიდხანს არა რჩებიან უმაღლეს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულნი, რადგან ჯამაგირი, ბინა და სხვა პირობანი სკოლის უფროსისთვის მეტის-მეტი მცირედი არისო. უმაღლესს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი ამ ადგილს უყურებენ როგორც საფეხურს, სადაც ცოდნებით შეიძლება ყოფნა, შემდეგ, რაკი უმჯობესი ადგილი გამოჩნდება, სასწავლებელს თავს ანებებენ და სხვაგან გადადიან. ამ აზრის დასამტკიცებლად საკმარისია დავასახელოთ ის გარემოება, რომ ხუთის წლის განმავლობაში ხუთი უფროსი გამოეცვალა ჩვენს სასწავლებელს და ყველამ კარგად იცის, რა ცუდად ჰმოქმედობს ამ ნაირი ცვლა უფროსებისა სკოლის ნორმალურ მსვლელობაზეო; მე კვლავ ვთხოვ საზოგადოებას, ამოირჩიოს ბ-ნი მკურნალი, რადგანაც ფოცხი მკის დროს ანუ მკაში საჭირო იარაღს არ შეადგენს. საზოგადოდ „ჯეჯილის“ მესამე ნომერში უფრო კარგსა და აზრიანს მასალას ვხედავთ, ვიდრე წინა ნომერში. წინა წერილში ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ საბავშვო საკითხავ მოთხრობების თუ ლექსების წერილები ცოტა ვეყავს-მეთქი. მაგრამ ვისაც ცოტა რამ უფრო რიგიანად შეუძლიან ამ საქმესაც ემსახუროს, როგორც სჩანს მცირე მონაწილეობას იღებენ საბავშვო მწერლობაში. მე მოგახსენებთ, მაგალითად, ვიეაფშველას შესახებ, რომლის საბავშვო საკითხავ წერილებსაც სასურველი შეიმჩნევა ეტყობა, და ამიტომ იმისი წერილების ხშირად დანახვა „ჯეჯილის“ ფურცლებზედ ყველასთვის სასიამოვნო იქნება. ჩვენი მწერლები რომ მცირე მონაწილეობას იღებენ „ჯეჯილის“ ზრდასა და დაპურებაში, ეს ნათლადა სჩანს მარტის ნომრიდგან, რომელშიაც ნახევარზედ მეტი მასალა ეკუთვნის ერთად-ერთს ბ-ნს ბანოს, რომელსაც ამავე ნომერში აქვს დასტამბული დასაწყისი მოგზრობისა „ქალაქელი ძმია“. ამ მოთხრობის განხილვას შემდეგისთვის გადავდებთ, როცა მოთხრობის ბეჭდვა დასრულდება.

ლ. ბოცვაძე

ატლანტიის ოკეანე ზღვად არის ნახსენები. ზოგიერთის შესწორების შემდეგ რომ ცალკე წიგნაკადაც გამოიცეს ქრისტეფორე კოლუმბისა და ამერიკის აღმოჩენის ამბავი სურათებით, კარგი იქმნება, მით უმეტეს, რომ „ჯეჯილში“ დასტამბული მოთხრობა თავ. რაფ. ერისთავის მოთხრობაზედ უფრო ვრცელია.

ამავე ნომერშივე არის დასტამბული ერთი საყურადღებო წერილი, რომელსაც სათაურად აქვს „ფიზიოლოგიური წერილები“. ამ წერილში, რომელიც პირველია და რომელსაც, ავტორის სიტყვით, მოჰყვება მეორე, მესამე და სხვაც, ავტორი უხსნის „ჯეჯილის“ მკითხველებს საზრდოსა და იმისს წყაროს. ავტორი სცდილობს, რაც-კი შეიძლება მარტივად და გასაგებად გარდასცეს მკითხველებს ცნობები ფიზიოლოგიიდგან. წერილის ავტორს სახეში ჰყავს, რასაკვირველია, პატარა მკითხველები, რომლებსაც სიტყვა ფიზიოლოგიას უხსნის ასე: „ფიზიოლოგია სხვა-დასხვა არსებათა სასიცოცხლო მოკვლეულის მეცნიერებაა“. მკითხველები, რომლებიც ბავშვებს იცნობენ, დამერწმუნებიან, რომ ამ განმარტებაში, გარდა სიტყვა ფიზიოლოგიისა, სხვა სიტყვებიც, მაგალითად არსება, მოკვლინება და მეცნიერება სრულიად გაუგებელნი ცნობებს წარმოადგენს პატარა მკითხველებისათვის. „მოქმედებისათვისო“, ამბობს წერილის ავტორი, „საჭიროა ერთგვარი ძალა, რომელიც მოიპოვება ყოველგვარ საქმელში, როგორც ხორცეულში, აგრეთვე მცენარეულშიაც“. უნდა იყოს, რასაკვირველია, მეტ-ნაკლებობით სინოყიერის მიხედვით — „ტყეილად-კი არ ამბობენ, ერთი კვერცხი სინოყიერით მეოთხედ გორვინქა ხორცს უდრისო; მაგრამ მოქმედებისათვის ნუ თუ მარტო სმა-ჭამაა საჭირო და მოსვენებას-კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს!?

წერილის ბოლოში ავტორი ამბობს: „ეროკლეკერი სიცოცხლის ეკანსნაწყალი ერის მზეო“. ეთქვათ, ეგ ყველა კარგია, მაგრამ ფრიად განყენებულად არის ნათქვამი — თითქოს დაჯერების მეტი არაფერია საჭირო. მეცნიერებს სჯერათ, რომ ბევრი ცვლილება, რომელიც ჰხდება ცხოველ არსებაში, დამოკიდებულია ფიზიკურ და ქიმიურ ძალისაგან, სინათლე-სითბოსა, ელექტრონის ძალასა და სხვა-და-სხვა ქიმიურ მომქმედთაგან (химическіе дѣятели), რომლითაც ერთი ძალა შეიცვლება მეორეთი, მაგრამ ამასთანავე დასძენენ, რომ „настоящее состояніе нашихъ знаній не даетъ еще удовлетворительнаго объясненія всѣхъ проявленій жизненной дѣятельности, сообразно ихъ теоріи (დასაწყისი ფიზიოლოგიისა პროფ. ლეგროკლერკისა თარგმნი კოროპჩევსკის მიერ). მეორე მხრით ივივე მეცნიერები ამტკიცებენ, რომ „жизнь есть особая и независимая способность, которая не можетъ произойти отъ какого бы то ни было сочетанія жизненныхъ силъ и можетъ передаваться только путемъ наслѣдованія“. აქედგან სჩანს, რომ სიცოცხლე საზოგადოდ ისეთი რთული საგანია მეცნიერებაში, რომ საჭირო გამოკვლევასაც მოკლებულია და ამისთანა საგნის გამო ლაპარაკიც პატარა მკითხველებთან ადრე უნდა იყოს. ფიზიოლოგია რთული მეცნიერებაა. იგი დამყარებულია სხვა მეცნიერებაზედ, როგორიც არის — ქიმია, ჰიდრავლიკა, მეხანიკა, ოპტიკა და სხვა, ამის გამო ფიზიოლოგიური წერილები, რომელსაც საგნად მარტო უბრალო ფიზიოლოგიური ეწერებიტების განმარტებაც რომ ჰქონდეს, მაინც ძნელია საკითხავად პატარა მკითხველებისათვის, რომელთაც პირიქით ეჯავრებათ დოლმატიურად დაწერილი წერილები და ისიც სამეცნიერო, რომელიც ასე თუ ისე ითხოვს ისჯოს მკითხველს, რომელსაც მცირე საზოგადო განათლება მაინც უნდა ჰქონდეს მიღებული.

„ჯეჯილის“ მესამე ნომერში დასტამბულია მცენარე ბამბაუკის აწერილობაც სათაურით „საკვირველებანი ბუნებისა“. წერილის ავტორს საგნად უნდა ჰქონდეს გააცნოს „ჯეჯილის“ მკითხველებს ამ შესანიშნავის მცენარის თვისება. ამისათვის სრულიად საჭირო არ არის ის ლეგენდა, რომელიც აწერილობას წინ უძღვის და არც უკანასკნელი კითხვები, რომლითაც ავტორი მიჰმართავს პატარა მკითხველებს და რომელსაც ჩვენ აქვე ამოვწერთ: „აბა ეხლა თქვენ მითხარით თითონ: შეინახეს ჩინელებმა თავისი წინაშეთის უმადურობა და ადუთქვეს თუ არა ულ შემდეგნელს ღერეოს, რომ ისინი ულსთუოდ ბოდაშს მოიხდიან მის წინაშე, ეგეთუ ის კიდევ ოდესმე მოკვლინება ქვეყანად ჩინელებს“. ლეგენდისა და ამის გამოტოვებით საგნის მიღწევას არა დაიკლდებოდა რა და ამთ ნაკვლად რომ მოეხსენებინა ავტორს ის გარემოება, რომელიც ხელს უწყობს ჩინეთში ამ შესანიშნავ მცენარის მოყვანას და რატომ ჩვენში და სხვა ქვეყნებში-კი არ ხარობს ეს მცენარე, უფრო მეტი ცოდნა შეეძინებოდათ პატარა მკითხველებს.

„ჯეჯილის“ ბოდოში დასტამბულია პატარა მოთხრობა „სწავლული შვილი“. მოთხრობაში მამა ეუბნება შვილს: „შვილო! ეხლა მკის დროა, აიღე ფოცხი, წამოდი, მიშველეო“. აქ „ფოცხის“ მაგიერ, სხვა იარაღი რომ ეხმარათ, უკეთესი იქნებოდა, ჩიათ ამავე სკოლის მასწავლებელი ბ-ნი მკურნალი, რომელიც დროებით ასრულებდა უფროსის თანამდებობას. ხოჯაევის სიტყვით, ბ-ნი მკურნალი ფრიად ბეჯითი, გულმოდგინე, საქმის მცოდნე და მხნეობით სავსე კაციაო და ჩვენ უკეთესს ვერ ვიშოვითო. ბ-ნმა ჩიხლაძემ (ამავე სკოლის მასწავლებელია) სთქვა, რომ საზოგადოება არ უნდა აჩქარდეს სკოლის უფროსის არჩევაში; აჩქარებით შეიძლება შეცთომა მოუვიდეს და შემდეგ ამ შეცდომის გასწორება ძნელიაო; უმჯობესი იქნება გაზეთებით ან სხვა საშუალებით ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ სკოლაში ადგილი განთავისუფლდა, იმედია რამდენიმე კანდიდატი გამოჩნდება და ჩვენ საშუალება მოგვეცემა უმჯობესი ამოვირჩიოთო; შეიძლება უმაღლესს სამეურნეო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულიც გამოჩნდეს მსურველთა შორის და ნუ თუ ამის-თანა კაცს უპირატესობა არ უნდა მივცეთო? ბ-ნმა ხოჯაევმა ის უპასუხა, რომ ჩვენს სასწავლებელში უფროსად დიდხანს არა რჩებიან უმაღლეს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულნი, რადგან ჯამაგირი, ბინა და სხვა პირობანი სკოლის უფროსისთვის მეტის-მეტი მცირედი არისო. უმაღლესს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი ამ ადგილს უყურებენ როგორც საფეხურს, სადაც ცოდნებით შეიძლება ყოფნა, შემდეგ, რაკი უმჯობესი ადგილი გამოჩნდება, სასწავლებელს თავს ანებებენ და სხვაგან გადადიან. ამ აზრის დასამტკიცებლად საკმარისია დავასახელოთ ის გარემოება, რომ ხუთის წლის განმავლობაში ხუთი უფროსი გამოეცვალა ჩვენს სასწავლებელს და ყველამ კარგად იცის, რა ცუდად ჰმოქმედობს ამ ნაირი ცვლა უფროსებისა სკოლის ნორმალურ მსვლელობაზეო; მე კვლავ ვთხოვ საზოგადოებას, ამოირჩიოს ბ-ნი მკურნალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის მოქმედებას მე თვალ-ყურს ვადევნებდი, როცა ამ სკოლის მზრუნველად ვიყავი, ვიცი დაწვრილებით ამ კაცის ბეჯითობა, საქმის სიყვარული, ცოდნა და უნარი. ჩემის აზრის თანახმა არის სკოლის ახალი მზრუნველიც ბ-ნი დ. ნ. ბაქრაძე, რომელიც დღეს აქ ვერ დაესწრო ავადმყოფობისა გამო. კრებამ თერმომეტრის ხმის უმრავლესობით ოთხის ხმის წინააღმდეგ აირჩია ბ-ნი მკურნალი. სკოლის მოქმედების ანგარიშის წაკითხვა გადაიდო შემდეგის სხდომისათვის, რადგან გვიან იყო და წაკითხვას ვეღარ მოასწრებდნენ.

მ—ი

ᲛᲔᲠᲘᲛᲔᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲥᲘᲖᲘᲧᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ჩვენ კვლავ მივიღეთ ქიზიყიდამ წერილი, რომელშიაც გამოცხადებულია სურვილი, რომ საზოგადო კრება, 3 მაისს დანიშნული, გადადებულ იქმნას საზაფხულოდ. საქმე ის არის, გავიგოთ, შესაძლებელია თუ არა ეს? რას ამბობს ამის შესახებ უკვე დამტკიცებული მთავრობის მიერ წესდება. ქიზიყის დეპო მას შემდეგ, რაც მისი წესდება მთავრობამ დამტკიცა, დადგა სულ ახალს გზას. ეხლა ესა თუ ის საკითხი, დეპოს შესახები, უნდა განიხილოს და გადასწყდეს თანახმად წესდებისა და არა ამა თუ იმ კერძო კაცის ანუ გამგეობის სურვილისა. ამიტომ ვურჩევთ ქიზიყელებს, კარგად გაიცნონ დამტკიცებული წესდება და იქ მოანახონ ხოლმე ყოველის საკითხის პასუხი. ნუ დავიწყებენ იმასაც, რომ ეხლა საგნის ასე თუ ისე გადაწყვეტა სავსებით დამოკიდებულია იმავე წესდებაზედ. შეუძლიან ერთს კაცსაც, თუ-კი წესდების ძალით სიმართლე მიუძღვის, სულ უკუღმა დატრიალოს გარდაწყვეტილება თუნდ ათას-წვერიანს საზოგადო კრებისა. ამ ერთს კაცს მის კანონიერ სურვილის განხორციელებაში დაეხმარება თვით კანონივე... და ხომ მოგეხსენებათ კანონს ყველა შეუძლიან.

გავსინჯოთ, მაგალითად, თუნდ ის საკითხი, თუ რა დროს უნდა დანიშნოს საზოგადო კრება. მსურველმა ამისი ცხადი პასუხი უნდა ამოიკითხოს დამტკიცებულ წესდებიდგან და არა ეკითხებოდეს და ეხვეწებოდეს გამგეობას, თუ სარევიზიო კომიტეტს: გეთაყვა კრება მავან დროს დანიშნეთო.

აი, ბატონებო, გარდაშალეთ თქვენი დამტკიცებული წესდება მე 6 გვერდზედ და წაიკითხეთ შემდეგი:

„საზოგადო კრება იქმნების ჩვეულებრივი და არა-ჩვეულებრივი (чрезвычайныя). ჩვეულებრივს კრებას იწვევს დეპოს გამგეობა, არა უგვიანეს აპრილის თვისა, ანგარიშის განსახილველად“...

როგორც ჰხედავთ თქვენის ბედნიერის თვალით, დეპოს გამგეობას არა თუ არ შეეძლო საზოგადო კრება საზაფხულოდ დაენიშნა, არამედ იმითაც უკვე კანონი დაარღვია, რომ 3 მაისს დანიშნა. თუ მაისის კრება კანონ-მდებელს ჭკუაში მოსასვლელად დაენახა, აღარ იტყოდა ასე გადაჭრით: „არა უგვიანეს აპრილისა“. უეჭველია საზოგადო კრება ამ პატარა დარღვევასაც კანონისას არ მოუწონებს გამგეობას. ახლა გავსინჯოთ, რას ეუბნება წესდება იმათ, ვისაც ჰსურს, ზაფხულში იყოს საზოგადო კრება.

იგივე წესდება იმავე მეექვსე გვერდზედ ცხადად ამბობს: „საზოგადო კრება იქნების ჩვეულებრივი და არა-ჩვეულებრივი“. ორივე ეს კრება თანაბარის უფლებით არის შემოსილი. ხოლო, თუ ჩვეულებრივს კრებას ნიშნავს გამგეობა და ისიც „არა უგვიანეს აპრილის თვისა“, არა-ჩვეულებრივი კრება შეიძლება დაინიშნოს ზაფხულშიაც, შემოდგომაზედაც, ზამთარშიაც, ყოველთვის. ვინა ჰნიშნავს ამ „არა-ჩვეულებრივ“ კრებას? ამის პასუხს იგივე წესდება გვაძლევს: „არა-ჩვეულებრივი კრება მოიწვევის ან დეპოს გამგეობის სურვილით, ან „სარევიზიო კომისიის სურვილით“, „ან საზოგადოების წევრთა სურვილითო“. იგივე წესდება სხოლიოში ამბობს: „თხოვნა არა-ჩვეულებრივის საზოგადო კრების მოწვევისა უნდა იყოს განცხადებული არა „სამზედ“ ნაკლებ წევრისაგანთა“. მაშასადამე საკმარისია, რომ ამ ზაფხულს გამგეობას მიეთვალა თხოვნა არა-ჩვეულებრივ კრების მოსაწვევად, ხელმოწერილი „არა-ნაკლებ სამის“ კანონიერის წევრისა, და იგი კრება კანონის ძალით უნდა მოწვეულ იქმნას. კანონი ამასაც-კი უმტკიცებს (წესდება, გვ. 6), რომ ასეთი თხოვნა სარევიზიო კომისიისა, ანუ წევრებისა სასრულეში უნდა მოყვანილ იქმნას გამგეობის მიერ „არა უგვიანეს ორის კვირისა“ მას შემდეგ, რაც განცხადება ანუ თხოვნა მიიღო.

მაშასადამე, ეხლანდელი საზოგადო კრება კანონიერად არის მოწვეული და მისი წინაღმდეგი არა ითქმის-რა. ხოლო თუ კრებას ჰსურს, რომ ზაფხულის არა ჩვეულებრივმა კრებამ განიხილოს ზოგიერთი მძიმე გარდასაწყვეტი საგნები, ჩვენის ფიქრით, შეუძლიან გადადოს ასეთი სამძიმო საგნები საზაფხულოდ და 3 მაისის კრებაზედვე განაცხადოს სურვილი, რომ მკათათვეში ანუ მარიამობის თვის პირველ რიცხვებში მოწვეული იქმნას ახალი „არა-ჩვეულებრივი“ კრება. ასეთს განცხადებას, უეჭველია, გამგეობაც სიამოვნებით მიიღებს და ამ რიგად კანონიც დაცული იქმნება და ყველას სურვილიც დაკმაყოფილებული.

კვლავ მოგახსენებთ: შეიარაღდით წესდებით და ისე მიბძანდით კრებაზედ, კანონმა უნდა ამოფხვრას შურიც, მტრობაც, უსიამოვნობაც, უსამართლობაც და სხვა და სხვა, რაიცა კაცთა შორის, სამწუხაროდ, ხშირია. კანონი-წესდება ჩინებულად განმარტავს ყველას უფლება-მოვალეობას და წეს-რიგს სიმართლის აღსადგენად. მაშასადამე, ამას იქით, საეჭვოა, რომ გამგეობაც, სარევიზიო კომისიაც, საზოგადოების წევრებიც მკვიდრად დაადგნენ წესდებაკანონის გზას.

მე გახლავარ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲛᲔᲢᲘᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ-ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

(„ივერია“ № 76)

ყველა სამეურნეო და სააღგილ-მიცემო ამხანაგობათა შორის მთელს საქართველოში თვალსაჩინოდ უნდა ჩაითვალოს მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა. მისი წარმატება დღითიდღე ჰმატულობს; მისი წინ-სვლა მედგარის ნაბიჯით მიემართება. ერთად-ერთი ამხანაგობა, რომელმაც სძლია ყველა დაბრკოლება, რომელმაც თავიდამ აიცილა ყველა ამხანაგობათა მუდმივი მტერი, ერთად-ერთია, რომელმაც შეიყვარა შესაყვარებელი და ნდობა გამოუცხადა სანდოს. ბევრი ამხანაგობა ჩაშალა შურმა და გაუტანლობამ, ბევრი ამხანაგობა იმსხვერპლა თავ-სოლიანობამ. მეაბრეშუმეთა პირველს ამხანაგობასაკი ჰწკალიც ვერავინ და ვერრამ ვერ შეაგდებინა. ამბობენ, პიროვნებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ცხოვრებაში და მის ცვალებადობაშიო, მაგრამ თვით ცხოვრების მიმდინარეობა ყოველთვის არ ეთანხმება ამის მქადაგებელს. რა თქმა უნდა, მეაბრეშუმეთა ამხანაგობა ცხოვრებისაგან დაბადებულ მოთხოვნილებაზედ აღმოცენდა; მოთხოვნილება რომ არ ყოფილიყო, არც ამხანაგობა იქმნებოდა, მაგრამ განა ეს მოთხოვნილება მარტო სამის წლის წინად დაიბადა? განა იგივე მოთხოვნილება ათის წლით ადრე უფრო ძლიერი არ იყო, როცა პარკის ფასი სამ-ოთხ მანეთს შეადგენდა ფუთზედ? არა, ბატონებო, არა. დარწმუნებული იყავით, მეაბრეშუმეთა ამხანაგობას დღევანდელი მმართველი რომ არ გასჩენოდა, თვით ამხანაგობა ან სულ არ იქმნებოდა დღესაც, ან პირველსავე წელიწადს სულს დაჰლევდა ვისსამე №-ძეს ხელში, თუ იგიც არ იქნებოდა ეხლანდელი მმართველსავით თერმომეტრს წლის გამოცდილებით შემოსილი და ისე თავ-დავიწყებამდის საქმის ერთგული. სახუმარი არ არის, კაცმა 11 წელი საკუთარის ხარჯის გამოცდილებას მოანდომოს, მასწავლებლობაში აღებული ფული ჰხარჯოს, აცა, როცა შეუცდომლად მოქმედება შემეძლებაო, მაშინ ჩემ გამოცდილებასა და ცოდნას საზოგადო საქმეს მოვანდომებო. ასე მოიქცა დღევანდელი მმართველი ბ-ნი ნესტორო წერეთელი და ამაშია მიზეზი ამხანაგობის წარმატებისაც.

წარსულის წლის ანგარიში, რომელიც 22 მარტს 1898 წ. დაამტკიცა საზოგადო კრებამ, 400 კაცისაგან შემდგარმა, სხვა წლების ანგარიშებთან შედარებით ერთს საუკეთესო მხარეს წარმოადგენს. პარკის მწარმოებელ ამხანაგს გარდა ფასისა, რომელიც მიეცა პარკში, კიდევ ეძლევა ფუთზედ 60 კაპ. ეს უკანასკნელი ამხანაგს ჯილდოსავით ეძლევა, რაკი პარკი მოიწევიო. მართალია, პარკის მომწევი ამხანაგი სხვა ნაირადაც სარგებლობს ამხანაგობიდგან და ეს სარგებლობა ის არის, რომ თავისს პარკს ერთიორად მეტს ფასად ჰყიდის, ვიდრე გაჰყიდდა, ამხანაგობის შეუწევნელად. თვით მწარმოებელმა კარგად იცის, რომ ფასის გაორკეცება ამხანაგობამ მოახდინა. მაგრამ ისიც მართალია, რომ ამხანაგობაც ამისთვის არის დაარსებული. ამხანაგობის მოგებაც პარკის რაოდენობისა და თვისებისაგან არის დამოკიდებული: თუ ბევრსა და კარგს პარკს მოიწევს, ამხანაგობაც ბევრს მოიგებს. განა ამისთანა მოგებაში მწარმოებელ ამხანაგს უპირატესობა არ უნდა ჰქონდეს, ხვა ამხანაგთან შედარებით? რითი გავამართლებთ სხვა ამხანაგის მწარმოებელთან გათანასწორებას? ერთად-ერთი მოსაზრებაა ამისთვის: ამხანაგობაში მწარმოებელსაც ერთი თუ მანი აქვს და არა მწარმოებელსაც, რაკი ამ ორმა თუმანმა მოიგო 3 მ. 40 კაპ., უნდა შეუზედ გავიყოთო. თუ ამ საბუთს დავემყარებით, მაშინ სიმართლე მოითხოვს, იმ თუმანსაც ის სარგებელი მივცეთ, რომელიც სესხადა ჰქონდა ამხანაგობას. სესხი თითქმის ერთი-ორად აღემატება წილის ფულსა და თანასწორ რომ გაიყოს მოგება, მაშინ წილის ფულს 10% აღარ შეჰხვდება. ნასესხ ფულს არ მიეცემა წილის ფულთან თანასწორი სარგებელი, რადგანაც ის ზარალში მონაწილეობას არ იღებს. მსესხებლისათვის სულ ერთია, ამხანაგობა მოიგებს, თუ იზარალებს, ის ცოტას სჯერდება, მაგრამ ორივე შემთხვევაში მისი ნაღდია. მწარმოებელი და არა-მწარმოებელი მოგებაზარალში ურევიან, მაგრამ ერთნაირად-კი არ ურევიან: არა-მწარმოებელი ამხანაგი ურევია ზარალში მარტო თავისის თუმნითა; მწარმოებელი ამხანაგი-კი თუმნითაც ურევია და პარკის წარმოებითაც. შეიძლება მწარმოებელს ნაწარმოები თუმანი დაუჯდეს და ხუთი მანეთიც ვერ აიღოს. ამიტომ მწარმოებლისა ამ მხრივ განსაცდელშია არა მარტო წილის ფული, არამედ საწარმოებელი თანხაცა, გამოდის, რომ მწარმოებელის თანხა, ამხანაგობის აღებმიცემობაში ხმარებული, აღემატება არა-ამხანაგის თანხასა. სიმართლე ოითხოვს, მწარმოებელს მიეცეს დვიდენული ორივე თანხისა. არა-მწარმოებელის ამხანაგის ამხანაგობა-კი სხვანაირად ვერ აიხსნება, თუ არ თანაგრძნობითა, რომელთანაც შეერთებულია ის ანგარიში, რომ ჩემი წილის ფული თუნდა უსარგებლოდ იყოს, ოღონდ ამხანაგობამ გიიმარჯვოს ბრძოლის ველზედაო.

სხვა მოსაზრებით ამხანაგობა არა მწარმოებელისა არ შეიძლება ისე, რომ ამხანაგის ზნეობითი მხარე შეუბღალავად დარჩეს. დარწმუნებული ვარ, ანგარებით ხელმძღვანელული ამხანაგებში არავინ იქმნება და თუ აღმოჩნდა, თვით გიექცევა უანგარობას, რადგანაც, როგორც ცეცხლი და წყალი, ისე ანგარება და უანგარობა ერთად ვერა თავსდება. უანგარო ამხანაგი-კი სრულიად კმაყოფილი იქმნება იმისთანა სარგებლისა (10%), რომელიც აღემატება თვისის რაოდენობით ყველა საკრედიტო დაწესებულების სარგებელისა და თითქმის უთანასწორებს სავაპრო თანხის სარგებელსა. კარგად მოგეხსენებთ, რომ არც ერთი საკრედიტო დაწესებულება არ იძლევა 5½% მეტს, თუ იგი რიკოვის ანგარიშზედ არ არის დამყარებული; ისიც ყველამ იცის, რომ სავაპრო თანხაც კმაყოფილდება 10%, თუ საქმე მკვიდრ საფუძველზეა აშენებული. მართალია, სავაპრო თანხა ხშირად 50 100% გადაამეტებს ხოლმე, მაგრამ ამას უკვე ჩარჩ-ბაცაცობას, წუბრელობას, მძარცველობას და სხვა საზიზღარ სახელს უწოდებენ. სრულიად საკმარისია სავაპრო თანხისათვის 10-12%. ამიტომ კარგი იქნებოდა, თვით წესდებაშიაც სამზღვარი დაედოს წილის ფულის დივიდენდის რაოდენობას, ე. ი. წესდებაში მოხსენებულ იქმნას, რომ დივიდენდი წილის ფულს არ აღემატებოდეს 12%, ხოლო დანარჩენი მოგება პარკისა დავიდენს და სხვა საქმეულ-მოქმედ საქმეს მოჰხმარდეს. 12% მეტი სარგებელი კანონიათაც და სინდისიათაც ანგაარებად არის აღიარებული. ნუ დაივიწყეთო, რომ მეტი მოგება დამოკიდებულია ორს გარემოებისაგან. იაფად სყიდვისა და 2) მოსალოდნელ ფასზედ ძვირად გაყიდვისაგან. როცა მოსალოდნელ ფასზედ ძვირად იყიდება სავაპრო საგანი, ეს იმის ნიშანია, რომ იმ საგნის მყიდველმა არ იცოდა ეს ფასი, თორემ სყიდებაშივე მოუმატებდა ფასსა. ამ შემთხვევაში პარკზედ დივიდენდის დაწესებით ეს შეცდომა სწორდება. რასაკვირველია, საზოგადოდ სჯობია წინადვე იცოდეს კაცმა გასასყიდი ფასი, მაგრამ ეს ყოველთვის ისეთს გარემოებებზე არის დამყარებული, რომ მისი ცოდნა შეუძლებელია. არც ერთს ბირეულს არა ჰყავს შეუცდომელი წინასწარმეტყველი. როგორც ცხოვრება ცვალებადობს, აგრეთვე საბაზრო ფასები ცვალებადობს.

ეს პირველი მაგალითია მწარმოებელის დაჯილდოვებისა და დიდად სანატრელია ეს მაგალითი დაკანონდეს ყველა ამ გვარს ამხანაგობაში.

ამხანაგობას საზოგადოდ (ხარჯის გამოურიცხავად) მოუგია 46% წილის ფულზედ, რაც საზოგადოდ საქმის წარმოებისათვის ხმარებულს თანხაზედ შეადგენს თითქმის 20%, ხოლო წმინდა მოგება წილის ფულისა თითქმის 17%. აქედგამ ცხადადა სჩანს, რომ საქმე რიგიანად არის წარმოებული, რისათვისაც დიდის მადლობის ღირსნი არიან ბ-ნი მმართველი და სხვანი მისი თანამშრომელნი.

მეტად ხშირია, რომ საქმის ბეჯითად მცოდნეს მრავალი მტერი ჰყავს და ესენი, რაკი ცოდნით ვერ ეტოლებიან პირველს, ათასს ჭორსა და ცილისწამებას უგონებენ, მაგრამ უნდა ვიაბეჩიოთ იმათ, რადგანაც ცოდნისა და უმეცრების შორის სხვანაირი ბრძოლა შეუძლებელია. ამ ცხრამეტის საუკუნის წინადაც უმეცრება ასეთისავე იარაღით ებრძოდა ცოდნასა და ამის გამო სთქვა ქრისტემ: „მამამ ზეცათამ, მიუტევენ, რამეთუ არა იციან, რას იქმან“.

ერთი შორეული არა-მწარმოებელთაგანი ამხანაგი

უცხოეთი

ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲘ.

თუმცა ადმირალმა დეკეტ მანილაში მეოფი ესპანიის ესკადრა გაანადგურა, მაგრამ, კუბელების სიტუაციათ, კუნძულის დაბურობა და დამოსრბილება ძალიან გაუჭირდება. ს

— როგორც ისმინეთ, ეს ბოლოდ ტნობაა ეგზავნა სწანს, ეს სიხელმწიფო ამ ჟამად დიდს გაჭირვებაშია ოუმეტესადმი შიმშილი ითოვება. ოოკელ ადგილზე არეულობა და ამბოხებაა. ეროვნულის სამეფო გვარეულობის მოწინააღმდეგენი კარლისტები და რეაქციონერები რეოლიუციას ამზადებენ. ადგილზე ისეთ განსაცდელშია, რომ ადარ იცის რა ქნა. მან რამდენჯერმე მიჭმართა დასახმარებლად ავსტრო-უნგრეთის იმპერატორს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერაფერი უშველა, თუმცა მალინინ-ი ანის მოწვანინებული შეელას. გაზეთების სიტყვით, მანილიის ესკადრის დამარცხებას სხვა ესკადრების დამარცხებაც მაღე მოჰყვება, სოლო თუ ისინია ყველან დამარცხდა თავის ასალშენებზედ ს